პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 14 (402) პარასკევი, 7 აპრილი, 1950 წ. ფასი 30 კ.

# სპორტული სეზონი დაიწყო

სპორტული სეზონი დაიწყო. რამდენ სიხარულისა და ალტაცების მომგვრელია ეს მოვლენა ჩვენი სპორტსმენებისა და ფიზკულტურელებისათვის! ისინი მოუთმენლად მოელოდნენ გაზაფხულით გამოცოცხლებულ სტადიონებსა და მოედნებზე გასვლას, ბურთის ჰაერში ასროლას, მძლეოსნურ ბილიკებზე შეჯიბრებებს, საჭიდაო სარბიელზე შერკინებას, კალათბურთის ფარებთან თამაშს... ზაფხულის საინტერესო ასპარეზობებში ხომ ისინი მიაღწევენ თავიანთი სპორტული ოსტატობის შემდგომ ამაღლებას, კიდევ უფრო საინტერესოსა და მასობრივს გახდიან ფიზკულტურულ მუშაობას.

და აი, დადგა ეს მომენტიც: 2 აპრილს აღიმართა საზაფხულო სეზონის ალამი! მიმდინარე წელს ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე დაიწყო ახალი სპორტული სეზონი, რომლის გახსნაც სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრებების შედეგები მჭერმეტყველურად მოწმობენ ახალგაზრდობის სწრაფვაზე სპორტის ყველა სახეობაში მიაღწიონ ახალ წარმატებებს და დაეუფლონ სპორტული ოსტატობის ხელოვნებას. სეზონის პირველივე დღეები სტადიონებზე აღინიშნა ფიზკულტურელთა მასობრივი გამოსვლებით, ძალოსანთა, მძლეოსანთა, კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, ველოსიპედისტთა და სხვა სპორტსმენების საინტერესო შეჯიბრებებით. ასპარეზობები გაიმართა საქართველოს დედაქალაქში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, თელავსა და სხვა ქალაქებში, სადაც ზამთრის პერიოდში „შესვენებულმა" მრავალმა სპორტსმენმა გაბედული იერიში მიიტანა ძველ რეკორდებზე და საგრძნობლად გააუმჯობესა ისინი. თავისი რეკორდის ზღვარი მოშალა ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა ნ. ხნიკინამ (მწვრთნელი ტახტაროვი), რომელმაც სამჭიდში 15-16 წლის გოგონებისათვის ახალი საკავშირო რეკორდი და სიმაღლეზე ხტომაში — რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.

წინასაწვრთნელი ვარჯიშის ჩატარების შემდეგ, თავიანთი მომზადებით კარგ იმედებს იძლევიან თბილისის „დინამოს", „სპარტაკისა" და ოფიცერთა სახლის ფეხბურთელები.

საქართველოს ფეხბურთელებისაგან ჩვენ მოველით ისეთი მაღალი სპორტული კლასით თამაშს, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ მომავალ გათამაშებებში საპატიო ადგილის დაკავებას პირველ ხუთეულში.

ჩვენ მოველით სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენელთაგან ახალ მიღწევებსა და შესანიშნავ წარმატებებს!

1950 წლის სეზონი უნდა ჩატარდეს სპორტის მასობრივობის ყოველმხრივ გაფართოებისა და ჩვენი სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების შესახებ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერების ნიშნით. სწორედ ამ საფუძველზე უახლოეს დროში საბჭოთა სპორტსმენებმა უნდა მიაღწიონ სპორტის უმნიშვნელოვანეს სახეებში მსოფლიო პირველობის მოპოვებას.

ჩვენი ამოცანაა — ვამრავლოთ მიღწეული წარმატებები და საზაფხულო სეზონის პერიოდი ეფექტურად გამოვიყენოთ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1950 წლის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ეს კი მრავალ საპასუხისმგებლო მოვალეობას გვაკისრებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ფიზკულტურის კოლექტივების რიცხვი საქართველოში უნდა გაიზარდოს 6.275-მდე, ხოლო სექციებში ჩაბმულ ფიზკულტურელთა რაოდენობამ 345.500-ს უნდა მიაღწიოს.

ფიზკულტურელთა ასეთი მრავალრიცხოვანი არმია — ეს ის დიდი ძალაა, რომელთა შორის ყოველდღიური მჩქეფარე საქმიანობით ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ უდიდესი მუშაობა, მათი რიცხვიდან გამოვზარდოთ უძლიერეს სპორტსმენთა ახალი კადრები.

ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უკვე მიიღეს 1950 წლის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე წელს რესპუბლიკაში მხთ პირველი საფეხურის 75.100, მეორე საფეხურის—8.570 და 26.000 იმხთ ნიშნოსანის მომზადებას. ამ დარგში დასახული ამოცანის შესრულებას ჩვენ შევძლებთ ყოველდღიური დაუღალავი მუშაობით და ფიზკულტურული აქტივის დარაზმვით. წელს საქართველოში მომზადდება 470 პირველთანრიგოსანი, 1.670—მეორე, 9.950 — მესამე და 7.500 მოზარდი თანრიგოსანი.

ამ დარგში განსაკუთრებით ბევრის გაკეთება მოუხდებათ ფიზკულტურის ახმეტის, წულუკიძის, წყალტუბოს, გურჯაანისა და სამტრედიის კომიტეტებს, სადაც ჯერ კიდევ ჩამორჩენილია მასობრივი ფიზკულტურის განვითარების საქმე.

საჭიროა მივბაძოთ ქუთაისის, თელავის, მახარაძის, ხაშურისა და გეგეჭკორის რაიონებს, რომლებმაც კარგად მოაწყეს ფიზკულტურული მუშაობა და საინტერესოდ ატარებენ სპორტულ ღონისძიებებს.

დავამშვენოთ 1950 წლის სპორტული კალენდარი ახალი რეკორდებით!

დაე, ყოველი სპორტსმენი გვიჩვენებდეს თავისი სპორტული კლასის ამაღლების ახალ მაგალითებს!

ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი მასობრივობისა და ამაღლებისათვის!

## პირველი წარმატებები

### თბილისის „დინამომ" მოიგო 6 მატჩი

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ლესელიძეში დაამთავრა საგაზაფხულო წვრთნა და 30 მარტს დაბრუნდა თბილისში, სადაც განაგრძობენ ნაყოფიერ მზადებას მომავალი საფეხბურთო სეზონის ჩასატარებლად.

ლესელიძეში ყოფნის დროს დინამოელებმა ჩაატარეს 7 ამხანაგური შეხვედრა მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ერევნის და სტალინგრადის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან, 6 შეხვედრა მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს.

უკანასკნელი მატჩი გაგრაში თბილისელებმა ჩაატარეს საბჭოთა კავშირის 1949 წლის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივთან. მატჩი დამთავრდა საქართველოს დედაქალაქის დინამოელთა გამარჯვებით 1:0. დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა—3:1.

# საზაფხულო სეზონის ალამი აღმართულია!

## ზეიმი „დინამოს" სტადიონზე

2 აპრილს ჩვენს რესპუბლიკაში გაიხსნა საზაფხულო სპორტული სეზონი.

თბილისის „დინამოს" სტადიონზე



დილიდანვე მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი. დილის 12 საათზე დაიწყო საფეხბურთო სეზონის გახსნის ჯილდოს გათამაშების მონაწილე გუნდების პარადი. ფეხბურთელებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ყანჩელი.

ორკესტრი ასრულებს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს... სეზონის გახსნის ალამი აღმართულია.

საზეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ დაიწყო უძლიერეს მძლეოსანთა გამოსვლები.

**სურათზე:** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ყანჩელი ხსნის 1950 წლის საზაფხულო სპორტულ სეზონს.

## ფეხბურთელთა შეხვედრები

სპორტულად საინტერესოდ ჩატარდა ფეხბურთელთა მატჩები. სეზონის გახსნის ჯილდოზე ფოთისა და ხაშურის ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფოთელთა გამარჯვებით — 3:2. ზუგდიდელებმა დაამარცხეს წითელწყაროელები — 4:2.

საფინალო მატჩში თბილისის საფეხბურთო სეზონის ჯილდოზე ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. მატჩი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათი გამარჯვებით დამთავრდა—2:0.

მოედანზე გამოდიან დედაქალაქის „დინამოს" ძირითადი და დუბლშემადგენლობის გუნდები. თამაში იწყება სწრაფი ტემპით. დუბლიორთა თავდამსხმელებმა გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია და უკვე მეხუთე წუთზე მათი თავდასხმის ცენტრი მ. ჯოჯუა ბურთს ოსტატების ბადეში ათავსებს.

ოსტატებმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ მეორე ნახევრის ბოლოს შეძლეს. ანთაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი არხევს ბადეს. მალე, ჯერ მახარაძე და შემდეგ ზაზროშვილი ორი ბურთით აუდიდებენ ანგარიშს. მატჩი დამთავრდა ოსტატთა გამარჯვებით — 3:1.

## ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება

ქ. თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური შეჯიბრება. 1950 წლის პირად გუნდური პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სოხუმის, ქუთაისის, თბილისის, ბათუმისა და ფოთის გუნდები. ასპარეზობაში გაიმარჯვა სოხუმის ტანმოვარჯიშეთა გუნდმა. პირად პირველობაზე გამარჯვებული გამოვიდა ქუთაისელი სპორტის ოსტატი ა. ალფაიძე. პირველთანრიგოსან მამაკაცთა შორის გაიმარჯვა სოხუმელმა ცვეტკოვმა.

## ჩოგბურთის კორტებზე

რამდენიმე ათეული თბილისელი ჩოგბურთელი შეეჯიბრა ერთმანეთს სეზონის გახსნის ჯილდოს მოსაპოვებლად. თამაში ერთდროულად ოთხ მოედანზე მიმდინარეობდა.

საინტერესო და დაძაბული ბრძოლების შედეგად ფინალში გავიდნენ სპორტის ოსტატი ი. ელერდაშვილი და მოსწავლე რ. აივაზოვი. შეხვედრა დამთავრდა ი. ელერდაშვილის სასარგებლოდ — 6:1.

## ფრენბურთის ბადესთან

„პიშჩევიკის" სასპორტო დარბაზში გრძელდებოდა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე მეორე ჯგუფის ფრენბურთელთა გუნდებს შორის. ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდმა დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი 2:1 (15:8, 9:15 15:13).

კიროვის რაიონის ღია მოედნებზე ჩატარდა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრები. მილიციის სკოლის კოლექტივმა საფინალო მატჩში დაამარცხა № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის გუნდი — 2:0.

## ველოსიპედისტები გზატკეცილზე

საქართველოს სამხედრო გზატკეცილის მერვე კილომეტრზე ჩატარდა საკლასიფიკაციო შეჯიბრება — 5, 10, 15 და 20 კილომეტრზე სამგზავრო და სპორტული მანქანებით. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 77 კაცმა — „დინამოს", „ბოლშევიკის", „მედიკის", ახალგაზრდათა სპორტსკოლისა და თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის წევრებმა. 18 მონაწილემ ჩააბარა ქაბუკთა, ხუთმა—მესამე და ერთმა—მეორე თანრიგის ნორმატივები.

ხუთკილომეტრიან მარულაში გოგონებს შორის გაიმარჯვა ვ. მამულაიშვილმა (თბილისის განათლების განყოფილება). 10 კილომეტრზე — მოზრდილებში—ნ. მეტრეველმა (ფიზკულტურის ტექნიკუმი), 15 კილომეტრზე — მ. ბეჟანიშვილმა („მედიკი") და 20 კილომეტრზე — ვ. ტროიანოვმა („მედიკი").

## ნ. ხნიკინას ახალი რეკორდები

... მძლეოსანთა შორის სტარტზე პირველნი მამაკაცები დგებიან, სპორტის ოსტატმა ლ. ხანაძემ 100 მეტრი 10,9 წამში დაფარა.



მამაკაცებს სცვლიან მორბენალი გოგონები. ერთდროულად მიმდინარეობს შეჯიბრება ბირთვის კვრაში, ხტომები სიგრძესა და სიმაღლეზე.

კარგ შედეგს მიაღწია ახალგაზრდა მძლეოსანმა გ. მატახერიამ. იგი გამორბენით სიგრძეზე 6 მეტრსა და 11 სანტიმეტრზე გადახტა.

სეზონის გახსნის პირველი დღე საუკეთესო მაჩვენებლებით აღინიშნა სპორტის ოსტატმა ნ. ხნიკინამ, რომელმაც სამჭიდში (სირბილი 100 მეტრზე, ბირთვის კვრა და სიმაღლეზე ხტომა) დაამყარა საკავშირო რეკორდი 15-16 წლის გოგონებისათვის — მოაგროვა 2.007 ქულა. სიმაღლეზე ხტომაში მან ადვილად დაძლია 145 სმ. და დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი გოგონებისათვის.

**სურათზე:** სპორტის ოსტატი ნ. ხნიკინა.

## 26 კომისრის რაიონში

2 აპრილს დილის 11 საათზე სტადიონზე დაიწყო რაიონის ფიზკულტურელთა აღლუმი, რის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე და ქალაქის პირველი საავადმყოფოს კალათბურთელთა წარმომადგენლები. შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 34:11 ინსტიტუტელების გამარჯვებით.

ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა პირველი გუნდის შეხვედრა რაიონის ნაკრებ გუნდთან დამთავრდა სტუდენტთა სასარგებლოდ 45:17, ხოლო ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკისა და სპორტსკოლის კალათბურთელთა შეჯიბრი დამთავრდა სპორტსკოლის გამარჯვებით 59:12.





1950 წლის საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნა თბილისში. **სურათზე** მარცხნივ—ფეხბურთელთა გუნდების აღლუმი ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე, მარჯვნივ —სეზონის დაწყების ალამს აღმართავენ ქუთაისის, ხაშურისა და სოხუმის ფეხბურთელთა გუნდების კაპიტნები. ფოტო კ. კრიმსკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„გაზაფხული გვეწვია!“
ფოტოეტიუდი ვლ. რუსეცკისა.

## გაზაფხული

გამოჩნდნენ კვირტები ყლორტებში ნამალნი,
ხნივებიც აპრილის მზის ღიმილს ეკუთვნის.
სალამი აპრილო, გაზაფხულს სალამი
გაზაფხულს თამაშის,
სირბილის,
ფეხბურთის.
მინდვრებზე გასულნი, ჭაბუკნი უთვლელნი,
ფოლადის კუნთები, გულმოუდლელები,
ხან სწრაფმორბენლები, ხან კი ფეხბურთელნი,
ხან მოჭიდავენი მდევური ხელებით.
ზეცა ჰგავს ხავერდის ხასხასა მოედანს,
მზე თითქოს ლამაზი, წითელი ბურთია,
რა გულმა გაგვიძლოს, მინდვრებს არ მოვედვათ,
სიცოცხლე გვეძახის ყოველი კუთხიდან.
ჩვენ რა შეგვაჩერებს, ან რა უნდა იყოს!
ძალა გვაქვს ულევი, სურვილი ულევი...
დავიპყრობთ,
დიდების მწვერვალებს დავიპყრობთ,
ზე ავალთ მზესავით და გაზაფხულივით.
...და ჩვენ ვგრძნობთ გაზაფხულს, როცა ვაკვირდებით
რომ ნათელ აპრილის მზის ღიმილს ეკუთვნის
განა ყვავილები და მარტო კვირტები —
თამაშიც,
სირბილიც,
ფეხბურთიც.

ნოდარ გურეშიძე

# სეზონის პირველი დღე

## სოხუმი

სპორტული სეზონის პირველი დღე აფხაზეთში მრავალი ფიზკულტურული ღონისძიებით აღინიშნა.

2 აპრილს ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის ცდკა-სა და ლენინგრადის „ზენიტის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:1 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ფრენბურთის მოედანზე გამოვიდნენ „დინამოს“ ნაკრები და სპორტსკოლის გუნდები. მათი შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ — 3:0.

კალათბურთში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „დინამოს“ პირველი და სპორტსკოლის ვაჟთა გუნდები. მატჩი დამთავრდა დინამოელთა ბრწყინვალე გამარჯვებით.

სოხუმში გაიმართა აგრეთვე ქალაქის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრება მძლეოსნობაში.

ნ. მიქაშავიძე

## ბათუმი

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთსა, ჩოგბურთსა და ფეხბურთში. ასპარეზობაში 1.000-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა.

ერთმანეთს შეხვდნენ რიგის „დაუგავას“ და მოსკოვის „ვმს“-ის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. ამხანაგური მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:1. დუბლშემადგენლობათა შეხვედრაც დასრულდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:1.

პ. სახოკიძე

## ქუთაისი

2 აპრილს, სპორტული სეზონის გახსნის დღეს, ქუთაისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა მძლეოსანთა გამოსვლები, კალათბურთელთა და ფრენბურთელთა შეხვედრები და სხვ.

ფეხბურთის მოედანზე მოსკოვის ვვს-ის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა ამხანაგური შეხვედრა ქალაქის „დინამოს“ ფეხბურთელებთან. პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ. მეორე ტაიმში სტუმრებმა ორი ბურთი გაიტანეს და შეხვედრა მოიგეს 2:1.

ი. მესხიშვილი

## წითელწყარო

სოფ. არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული ფიზკულტურული კოლექტივი კარგად მოემზადა ახალი სპორტული სეზონისათვის. საუკეთესოდ მოაწყეს ფიზკულტურული დარბაზი, შეიძინეს სატანვარჯიშო ინვენტარი და ფორმები, ჩამოყალიბდა ფრენბურთის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭიდაობისა და სხვ. სექციები, რომელნიც სისტემატურ წვრთნას გადიან.

გ. კაკალაშვილი

# მოსწავლეთა რესპუბლიკური ასპარეზობა

## ნორჩი მოკრივენი რინგზე

ქ. სოხუმში ჩატარდა საქართველოს სკოლების მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა კრივში. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, თელავისა და ჭიათურის სკოლების 68 მოკრივე მოსწავლე.

ბრძოლები მეტად საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელმა ნორჩმა მოკრივეებმა საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს და უფროსი და მოზრდილთა ასაკის ბავშვთა გუნდებში პირველი ადგილი დაიკავეს.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით უფროსი ასაკის მოსწავლეებს შორის გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ა. ლოლაშვილი, ლ. კეკუტია (თბილისი), ნ. თორთლაძე (ქუთაისი), მ. რატიანი (სოხუმი), ნ. არუთინოვი (თბილისი), რ. არშბა (სოხუმი), ლ. რონდელი (თბილისი), გ. გარგანჯია (სოხუმი); უმცროსი ასაკის ბავშვებს შორის: შ. ზრიიანი (თბილისი), გ. ქვიშაევი (ქუთაისი), ლ. ჭელიძე, (თბილისი), თ. ლომიძე, გ. მალაევი (ქუთაისი) გ. იაშვილი (სოხუმი), ნ. მუჯირი (თბილისი), ო. ნადარეიშვილი (სოხუმი).

აღსანიშნავია მონაწილეთა უმრავლესობის საერთო ტექნიკური ზრდა.

საუკეთესო საბრძოლო თვისებები გამოავლინეს თბილისელებმა: ლ. ჭელიძემ, ბ. არუთინოვმა, ვ. ჩუგუნოვმა და ნ. მუჯირმა, სოხუმელებმა რ. არშბამ, მ. რატიანმა, ქუთაისელმა ნ. თორთლაძემ.

თავისი საბრძოლო თვისებებით კარგ იმედებს იძლევიან თელაველი მოკრივეები ყორანაშვილი, ჩხუბიანიშვილი და სულაძე.

გ. დარახველიძე
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სოხუმი.

## მოფარიკავეთა წარმატება

ქ. თბილისში არდადეგების დღეებში ჩატარდა საქართველოს სსრ სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 9 ქალაქის 140 წარმომადგენელი.

უმცროსი ასაკის გოგონებში გამარჯვებული გამოვიდა ჯ. ჩიხლაძე (თბილისის მე-12 ქალთა სკოლა). ამავე ასაკის ვაჟებიდან რაპირაში პირველობა მოიპოვა ზ. ბილანიშვილმა (თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლა), ხოლო ესპადრონით ფარიკაობში თბილისელ გ. გოდერძიშვილთან ხელახალ ბრძოლაში შეხვედრა მოიგო ზესტაფონელმა ვ. მაჭავარიანმა.

უფროსი ასაკის მოსწავლეთა მძაფრ ბრძოლებში გაიმარჯვა თბილისის 35-ე ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლე ზ. კვერენჩხილაძემ. ამავე ასაკის ჭაბუკებში როგორც რაპირით ისე ესპადრონით ფარიკაობაში პირველ ადგილზე გამოვიდა გ. ჩხაიძე (თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა).

გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ქ. თბილისის ნაკრები გუნდი. მათ გადაეცათ გარდამავალი ვერცხლის თასი, მეორე ადგილზე — ქ. ქუთაისის გუნდი.

მოსწავლე მოფარიკავეებმა გამოავლინეს საუკეთესო ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება.

ა. მეიფარიანი,
სპორტის ოსტატი

## თასი მოიგეს ბაკურიანელებმა

საქართველოს სკოლების მოსწავლეთა მე-5 რესპუბლიკურ პირველობაზე შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბაკურიანის, წაღვერის, ბორჯომის, ზემო სვანეთის. სამხრეთ-ოსეთის, თბილისის, ახალქალაქისა და დუშეთის სკოლების მთხილამურეთა გუნდები.

4 დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა ბაკურიანის საშუალო სკოლის პირველმა გუნდმა.

სათხილამურო სპორტის სხვადასხვა სახეში კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისელმა ჯ. თაქთაქიშვილმა, ბაკურიანელმა გ. კვინიკაძემ, ვ. დიაკონაშვილმა, ი. ყოროშვილმა, ზემო სვანელმა მოსწავლეებმა — გ. ჯაფარიძემ, ნ. შარვაშიძემ, ნ. ნიგურიანმა და სხვებმა.

ჩემპიონატში გამარჯვებულ კოლექტივებს და მოსწავლეებს გადაეცათ განათლების სამინისტროს სიგელები და ფასიანი საჩუქრები. ხოლო ბაკურიანის საშუალო სკოლის პირველ გუნდს — გარდამავალი თასი.

შ. შიოშვილი,
ო. დეკანოსიძე

## მოჭიდავეთა შეჯიბრება

საინტერესოდ ჩატარდა ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მოსწავლე მოჭიდავეთა პირველობა.

თბილისელმა ნორჩმა მოჭიდავეებმა ადვილად მოიგეს პირველი და მეორე გუნდური ადგილები.

პირად პირველობაზე სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამარჯვებული გამოვიდნენ: დ. ბაქრაძე (ქუთაისი), კ. ჩიტავა, რ. ძნელაძე, გ. ყიფშიძე, მ. გოგლიძე (თბილისი), ე. ნიჟარაძე, ზ. მაღლაფერიძე (ქუთაისი) გ. სხირტლაძე (თბილისი).

## 9 ახალი რეკორდი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩატარდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ძალოსანთა შეჯიბრება 1950 წლის პირველობაზე.

კვლავ გაიმარჯვა ოლქის გასული წლის ჩემპიონმა გ. სარიბეკიანმა, რომელმაც კლასიკურ სამჭიდში 252,5 კგ. ასწია. ქვემსუბუქ წონაში გამარჯვებული გამოვიდა მეცხრე კოლექტივის წარმომადგენელი მ. სააკიანი — 245 კგ.

მსუბუქ წონაში გამარჯვება კვლავ დარჩა გასული წლის ჩემპიონს ზემდეგ ი. კოზლოვს — 320 კგ.

ქვემძიმე წონაში გამარჯვება ხვდა საქართველოს რეკორდსმენს მ. გოგოტიშვილს და მძიმე წონაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის აბსოლუტურ ჩემპიონს სპორტის ოსტატ ი. გელოვანს.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა მეცხრე სპორტკოლექტივმა, რომელმაც მოაგროვა 1.730 კგ. მეორე ადგილზე გამოვიდა პირველი კოლექტივი.

შეჯიბრების დროს დამყარებულ იქნა სამხედრო ოლქის 9 ახალი რეკორდი.

ბ. ნინოშვილი



სურათზე: თბილისის ვაჟთა 21-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი გ. გუგუნავა სიმაღლეზე ხტომის დროს.
ფოტო კ. კრიმსკისა.



სურათზე: სეზონის გახსნის დღეს რკინიგზის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტისა და დედაქალაქის განათლების განყოფილების კალათბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტი.
ფოტო კ. კრიმსკისა

## ძალოსანთა სპარტაკიადა

ხუთი დღის განმავლობაში თბილისის სპორტულ დარბაზებში მიმდინარეობდა მესამე საქალაქო ტრადიციული სპარტაკიადა ძალოსნობაში. შეჯიბრების პროგრამაში იყო სიმძიმეების აწევა, კრივი და კლასიკური ჭიდაობა.

პირველობისათვის ბრძოლამ თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. განსაკუთრებული ინტერესით ჩატარდა მოჭიდავეთა შეხვედრა. შეჯიბრებისათვის კარგად მოემზადნენ „ბოლშევიკისა“ და „დინამოს“ კოლექტივები. ორივე გუნდმა ადვილად დაამარცხა მეტოქეები. „ბოლშევიკის“ მოჭიდავეებმა შეხვედრა მოუგეს „ნაუკას“ გუნდს ანგარიშით 7:1, „ტრუდის“ გუნდს—8:0 და „სპარტაკს“—6:2. დინამოელებმა დაამარცხეს სპარტაკელები ანგარიშით—8:0, „ტრუდი“—8:0 და „ნაუკა“—5:3.

ამრიგად, გადამწყვეტი შეხვედრისათვის „დინამოს“ და „ბოლშევიკის“ მოჭიდავეებს ქულათა თანასწორი რაოდენობა ჰქონდათ. მათი შეხვედრა ფრედ დასრულდა.

საბოლოო პირველობის საკითხი გადაწყდა იმ გუნდის სასარგებლოდ, ვისაც უფრო მეტი წმინდა წაქცევა ჰქონდა. ასეთი აღმოჩნდა „ბოლშევიკის“ კოლექტივი—(23:21), რომელსაც მიეკუთვნა პირველი ადგილი. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ა. მაისურაძე, ხ. ზედგინიშვილი, ზ. დენტოშვილი, სპორტის ოსტატი ვ. ილურიძე, ვ. მაისურაძე, საქართველოს ჩემპიონი გ. კარტოზია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი დ. ციმაკურიძე, შ. მდინარაძე.

შეჯიბრებამ სიმძიმეების აწევაში გამარჯვება მოუტანა დინამოელებს, რომლებმაც ექვს წონით კატეგორიაში ასწიეს საერთო წონა—1.827,6 კგ. მეორე ადგილზე დარჩა „ნაუკა“ — 1.522,6 კგ.

კრივში დინამოელებმა ყველა გუნდი ადვილად დაამარცხეს. შეხვედრა განსაკუთრებით მაღალი სპორტული მაჩვენებლებით ჩაატარეს ძმებმა გ. და ნ. დარბაისლებმა („პიშჩევიკი“), ნაზიკვერიშვილმა („ნაუკა“) და სხვ.

სპარტაკიადაზე საერთო გამარჯვება მოიპოვა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კოლექტივმა, მეორე ადგილი დაიკავა „ნაუკამ“, ხოლო მესამე — „ბოლშევიკმა“.

სპარტაკიადამ გვაჩვენა, რომ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სწავლობენ მუშაობა ჭიდაობაში, კრივსა და სიმძიმეების აწევაში. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“, რომელმაც სამივე სახეში სასტიკი დამარცხება განიცადა. სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკმა“ მხოლოდ კრივში შეძლო მთლიანი გუნდის გამოყვანა, „ტრუდმა“ კი მარტო სიმძიმეების აწევასა და ჭიდაობაში.

ამ ნაკლოვანებათა დროზე აღმოსაფხვრელად უნდა იზრუნონ სპორტსაზოგადოებებმა და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა. საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სპორტის ამ ღირსშესანიშნავი სახეების შემდგომ განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რვა ქალაქის მატჩი კალათბურთში. სურათზე: თბილისისა და ლენინგრადის ქალთა ნაკრები გუნდების შეხვედრის ერთი მომენტი. ბურთი აქვს თბილისელ თ. ფცქიალაძეს.

# სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია

რამდენიმე დღის წინ თბილისში ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა პირველი სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია. მოსმენილ იქნა ამხ. დ. ფილენიშვილის მოხსენება — „საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“. კონფერენციამ განიხილა აგრეთვე მოხსენებები: „სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში“, „ფიზიკური აღზრდის როლი სტუდენტთა იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში“, „სტუდენტ ქალებთან მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკა“, „ფიზიკური აღზრდის დაგეგმვისა და აღრიცხვის ფორმები უმაღლეს სასწავლებლებში“, „ტანვარჯიშის უმაღლესი ტექნიკის დაუფლება ვაჟთა მიერ“, „პედაგოგიკური ოსტატობა ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციაში“.

მოხსენებებმა დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგემ პროფესორმა გ. ი. მღებრიშვილმა, სპორტის ოსტატმა ი. ბაბილოძემ, ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგემ ამხ. სამსონაძემ და სხვ.

სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებას უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრები. ამ ისტორიული დადგენილების შემდეგ სპორტულ მუშაობაში ჩაბმულ სტუდენტთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა, გაუმჯობესდა საწვრთნელი მუშაობა, გარდაიქმნა სექციების საქმიანობა. მოწინავე კათედრებს შორის დასახელებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრები. ამასთანავე კონფერენციაზე გააკრიტიკეს სამედიცინო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების ფიზიკური აღზრდის კათედრები, რომლებსაც ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი გააჩნიათ.

კონფერენციაზე ფართოდ გაშუქდა უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვის მეთოდები, საბჭოთა სპორტსმენის ეთიკისა და აღზრდის საკითხები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტ ქალთა შორის სპორტული მუშაობის გაშლას. დღემდე სპორტულ სექციებში სტუდენტ ქალთა მცირე ნაწილია ჩაბმული.

კონფერენციაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ფარულავა.

კონფერენციამ გადაახალისა უმაღლესი სასწავლებლების მეთოდური კომისიის შემადგენლობა. ახლად არჩეულ კომისიას დაევალა კონფერენციის მუშაობის საფუძველზე შეიმუშაოს ახალი სამოქმედო გეგმა.

# რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაამტკიცა სპორტულ ტანვარჯიშში 1950 წლის ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით:

**მამაკაცები:** ნ. თაყაიშვილი („დინამო“), თ. სანებლიძე („ნაუკა“), ვ. ჯაიანი („მედიკი“), ვ. ასათიანი („ნაუკა“), ა. ალფაიძე (ქუთაისი „სპარტაკი“), ს. ბალიაშვილი („სპარტაკი“) რ. იმნაძე (სოხუმი, „სპარტაკი“), კ. ივანოვი, რ. შარაბიძე („ბოლშევიკი“), ვ. კულუმბეგაშვილი, ი. მგალობლიშვილი („ნაუკა“), ი. მარუტიანი („დინამო“), ვ. გურსკი (ქუთაისი „მედიკი“), შ. ჩაჩხიანი (ქუთაისი „დინამო“), ნ. ბახუტაშვილი („დინამო“), მ ლომიევი (ბათუმი „დინამო“), პატარიძე („ნაუკა“), ო. შავდია, გ. კობახიძე („ბოლშევიკი“), გ. დაბალიანი („მედიკი“).

**ახალგაზრდათა ჯგუფი** — პირველთანრიგოსნები: მ. თავართქილაძე („ნაუკა“), გ. ყირმელაშვილი („შრომითი რეზერვები“), გ. ქუთათელაძე, მ. აფრიდონიძე („მედიკი“), ი. გარანკინი, ა. რაზმაძე, თ. კეზელი, გ. ცისკარიძე, ზ. გვეტაძე („ბოლშევიკი“), ო ვაშაკიძე („დინამო“).

**ქალები:** სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. ზაალიშვილი („ტრუდი“), სპორტის ოსტატები: მ. ჯულელი („დინამო“) ც. მაჭარაშვილი („ნაუკა“), მ. ქოიავა, („დინამო“), დ. ციხითათრიშვილი, ე. სტეპანოვა („ნაუკა“), ე. კოვლევა („დინამო“). ე. გაგოშიძე („მედიკი“), თ. კობოსნიძე („დინამო“), ა. გაბრიაძე (ბათუმი „სპარტაკი“), მ. ჩიჟიკოვა („ბოლშევიკი“); პირველთანრიგოსნები: ნ. ლურსმანიშვილი („ბოლშევიკი“), ქ. გოლაშვილი („ნაუკა“), ნ. მარჯანიშვილი („მედიკი“), თ. კარანაძე (ქუთაისი —„ბოლშევიკი“), ლ. დოლუენკო, ვ. სლობოდიანოვა („მედიკი“), ი. კანტაკუზინა, ლ. ახობაძე, ბარსეგაშვილი („ნაუკა“).

**ახალგაზრდათა ჯგუფი** — პირველთანრიგოსნები: პატარქალიშვილი („ნაუკა“), ნ. მატუშკინა, გელუკაშვილი („ბოლშევიკი“), აზასოვა (ბათუმი —„სპარტაკი“), ა. პესოცკაია („ბოლშევიკი“), მაჩიტაძე, გოლეგო („ნაუკა“), ლ. კილაძე (ბათუმი—„ნაუკა“), ლ. მკავია, მ. დარსაველიძე (ქუთაისი —„ნაუკა“).

სპორტულ ტანვარჯიშში მწვრთნელთა საბჭო დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ბაბილოძე; სპორტის ოსტატები: გ. მამარდაშვილი, ი. ოგანოვი, გ. ჭილაია, ვ. პროკოფიევი, ს. ყიფიანი, ვ. მარსაგიშვილი (თბილისი). დ. თაველიდიშვილი (ქუთაისი), ვ. კაპანაძე, ი. უსტიანცევი (სოხუმი), კ. პასიკოვი (ბათუმი).

# ტრადიციული მატჩი

ლ. ძეკონსკი,
თბილისის კალათბურთის სექციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ათი** დღის განმავლობაში ქ. ტალინის სპორტდარბაზში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის 8 ქალაქის ქალთა 9 და ვაჟთა 8 უძლიერესი ნაკრები გუნდების დაძაბული ბრძოლა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი ჯილდოების მოსაპოვებლად.

ბრძოლა ყოველდღე სულ უფრო მწვავდებოდა და წამყვანი ჯგუფი თანდათან მცირდებოდა. ფინალისათვის მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ასეთი იყო: პირველ ადგილზე წაუგებლად მიდიოდნენ თბილისელები, მეორეზე მოსკოვის, კაუნასისა და ტარტუს გუნდები (თითო დამარცხებით).

შეჯიბრების დამთავრების წინა დღეს ტარტუს კალათბურთელებმა მეტად მძიმე შერკინებაში ერთი ქულით აჯობეს კაუნასელებს, თბილისელებმა კი პირველი მარცხი განიცადეს მოსკოველებისაგან. შეჯიბრების ბოლო დღეს ენერგიულად მოთამაშე ტარტუს გუნდი სასტიკად ამარცხებს მოსკოვის კოლექტივს (56 : 39), თბილისელები კი იგებენ შეხვედრას (39 : 27) რიგელებთან. ამრიგად პირველ და მეორე ადგილებზე გადიან თბილისისა და ტარტუს გუნდები, მესამეზე—მოსკოველები, მეოთხეზე — კაუნასელები, მეხუთეზე—რიგელები, მეექვსეზე—ლენინგრადელები; სვერდლოვსკისა და ბაქოს გუნდებმა დაიკავეს მეშვიდე და მერვე ადგილები. გათამაშების დებულების თანახმად უკანასკნელი ადგილის გამოსარკვევად ჩატარდა დამატებითი მატჩი სვერდლოვსკისა და ბაქოს გუნდებს შორის, აგრეთვე მატჩი გამარჯვებულის დასადგენად თბილისისა და ტარტუს კოლექტივებს შორის.

სვერდლოვსკისა და ბაქოს გუნდებს შორის თამაში დამთავრდა პირველის სასარგებლოდ—41 : 36. ამრიგად ბაქოს ვაჟთა კოლექტივი მომავალ წელს 8 ქალაქის მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს.

## ლიდერთა შეხვედრა

მეტად დაძაბული იყო ლიდერთა შეხვედრა. ორივე გუნდი მოედანზე გამარჯვების მტკიცე რწმენით გამოვიდა. მაყურებლებით გამხნევებულ ტარტუელებს მიჰყავთ თამაში, როგორც მუდამ, ბრწყინვალედ და გონიერად წარმართავს გუნდის იერიშებს საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის კაპიტანი ლისოვი. მატჩის პირველი ნახევრის ბოლოს ტარტუს თამაში მიჰყავს 3 ქულით. შესვენებამდე 5 წამით ადრე ბახტურიძე შორი მანძილიდან იღებს ორ ქულას და გუნდები მიდიან დასასვენებლად. ანგარიშია 17 : 16 ტარტუს სასარგებლოდ.

ბრძოლის მეორე ნახევარში დაძაბულობა თავის აპოგეას აღწევს. თამაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობს: ხან თბილისელები არიან 2-3 ქულით წინ, ხან ტარტუელები უსწრებენ თბილისელებს ასეთივე ანგარიშით. მატჩის უკანასკნელ სამ წუთში უაღრესმა დაძაბულობამ გავლენა მოახდინა თამაშის ხარისხზე; ტარტუელებმა როგორც კი მოიგეს ერთი ქულა (27 : 26), შეანელეს თავდასხმა და ბურთის გათამაშებით დაკმაყოფილდნენ. ქორქია ახერხებს მოწინაალმდეგისათვის ბურთის წართმევას და ჯორჯიკია შორი მანძილიდან და ძნელი მდგომარეობიდან სტყორცნის ბურთს კალათს და ამრიგად თავის გუნდს უმატებს ორ ქულას — (28:27).

მატჩის დამთავრებას 1 წუთი და 10 წამი აკლდა. ბურთი ისევ ტარტუელების ხელშია. ისინი ნელა ათამაშებენ მას და თავიანთ ენაზე „თათბირობენ“, თუ რა კომბინაცია ჩაატარონ. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომ თამაშისათვის ხელი არ შეეშალათ, ორივე გუნდის გულშემატკივრებმა გატრუნეს სული. ბოლომდე დარჩა რაღაც 40 წამი.

ბურთი ლისოვს აქვს, მან სწრაფად და ზუსტად გადასცა იგი პუტმაკერს, ხოლო უკანასკნელმა მარცხენა ხელის გაშლით ტყორცნა ბურთი კალათს და ამით თავის გუნდს გამარჯვება მოუპოვა. ანგარიშია 29 : 28. თბილისელები გადავიდნენ სასტიკ იერიშზე, მაგრამ დრო უკვე ამოიწურა... გამარჯვება ტარტუს გუნდს დარჩა.

გათამაშების შედეგების მიხედვით უნდა შეფასდეს გუნდების თამაშის კლასი. მატჩის არაჩვეულებრივმა დაძაბულობამ თავისი დაღი დაასვა კოლექტივთა თამაშის სტილს: თანაბარი ძალის გუნდები, რომლებმაც რამდენიმე ქულით მოიპოვეს უპირატესობა, არ სწევდნენ რისკს. რომ იერიში მიეტანათ მოწინააღმდეგის კალათზე, ნელა ათამაშებდნენ ბურთს და ცდილობდნენ ანგარიშის შენარჩუნებას... ისინი მხოლოდ მაშინ გადადიოდნენ შეტევაზე, როცა მოგების აშკარა შანსები ჰქონდათ. ამიტომ სრულიად გამორიცხული იყო შორი მანძილებიდან ბურთის კალათში ტყორცნა. თამაშის ასეთი სტილი ხელს არ უწყობს კალათბურთის განვითარებას.

ეს ბრალდება ყველაზე მეტად ეხება მატჩში გამარჯვებულს—ტარტუს გუნდს. მან ასეთი სტილით ჩაატარა შეხვედრები ყველა უძლიერეს გუნდთან, გარდა მოსკოვისა, რომელთანაც იგი თამაშობდა უაღრესად აგრესიულად, გაბედულად და ლირსეულადაც მოიპოვა გამარჯვება. ამით ტარტუს კოლექტივმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ თამაშის მოიერიშე სტილი—ეს თანამედროვე საბჭოთა სტილია.

ყველაზე აგრესიულმა მოსკოვის გუნდმა ტარტუსთან გადამწყვეტ მატჩში ვერ გამოიჩინა ნებისყოფა და ამტანობა. ამ გუნდის წევრთა შორის გამოირჩეოდა კოლპაკოვი, რომელმაც შორიდან ბურთის ოსტატური ტყორცნით ბევრი ქულა შეჰმატა თავის კოლექტივს.

კაუნასელებს უკეთესი ადგილის დაკავება შეეძლოთ, რომ სწრაფი იერიშის მეტი რისკი გამოეჩინათ. ახლო წარსულში ყველაზე სწრაფმა გუნდმა ამ მატჩში ვერ გამოიყენა თავისი შესანიშნავი მოთამაშეების — სერციავიჩუსის, ბუტაუტასისა და პეტკევიჩუსის ბრწყინვალე შესაძლებლობანი.

## მონოლითური კოლექტივი

განსაკუთრებით შევჩერდებ თბილისის გუნდის თამაშზე. ეს მონოლითური კოლექტივია და მთელი მისი სწრაფვა მიმართული იყო მატჩის მოგებისაკენ. თვითეული კალათბურთელი მთელ შესაძლებლობას იყენებდა მიზნის მისაღწევად და ეს იყო გუნდის თამაშის მამოძრავებელი ფაქტორი. თვითეული გამარჯვება მთელი კოლექტივის შემოქმედების ნაყოფი იყო. თბილისის კოლექტივს ფიზიკური უპირატესობა ჰქონდა ყველა გუნდზე. ყოველი მოთამაშე თავისი მომზადების სიმაღლეზე იმყოფებოდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის წამყვანი და მაორგანიზებელი როლი, რომელსაც ასრულებდა სპორტის ოსტატი ო. ქორქია. მისმა მოსაზრებულობამ, სიდინჯემ და საუკეთესო ტექნიკამ ლენინგრადის გუნდთან თამაშის დროს თბილისი დამარცხებისაგან იხსნა. ყოველ მატჩში ქორქია იყო ის მთავარი ძალა, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ მოწინააღმდეგეებს, ამასთანავე იგი არ თამაშობდა ინდივიდუალურად და მუდამ ახსოვდა, რომ ძალა კოლექტივშია. მის თამაშში შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოწინააღმდეგის კალათის იერიშის დროს იგი თამაშს გუნდის სხვა მოთამაშეს ანდობდა, რაც გადამწყვეტ წუთებში არასწორია, რადგანაც ქორქიას იერიშის მოგერიება მოწინააღმდეგისათვის გაცილებით ძნელია, ვიდრე გუნდის სხვა წევრისა. აღსანიშნავია აგრეთვე სპორტის ოსტატი ჯ. ნიჟარაძე, რომელმაც დამატებით დროში მოწინააღმდეგის ფარქვეშ ორი გაბედული გასვლით აშკარად მოიგო მატჩი კაუნასთან. სპორტის ოსტატ ნ. ჯორჯიკიას პირველ გამოსვლებში ფეხი დაუშავდა, ამან არ მისცა საშუალება თავისებურად გამოსულიყო მატჩებში. ნ. ჯორჯიკიამ უკანასკნელ ორ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შორი მანძილიდან ტყორცნები. ახალგაზრდა მოთამაშეთაგან თავი გამოიჩინა გ. ბახტურიძემ, განსაკუთრებით პირველ მატჩში ტარტუს წინააღმდეგ. მან უკანასკნელ წამებში მოწინააღმდეგის კალათში გადამწყვეტი ბურთი მოათავსა.

საერთოდ თბილისის გუნდი შეჯიბრებაზე გამოიყურებოდა მტკიცე კოლექტივად, რაშიაც უეჭველად უდიდ დამსახურება მიუძღვის მწვრთნელ შ. დიასამიძეს და გუნდის კაპიტანს ო. ქორქიას.

## მეტი ყურადღება კალათბურთელ ქალთა მომზადებას

საინტერესო იყო აგრეთვე ქალთა გუნდების თამაში.

მოსკოვის კოლექტივი, იგივე საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, გამოდიოდა არათანაბარი ძალის მქონე მოწინაალმდეგეებთან. ამან გავლენა მოახდინა მისი თამაშის ხასიათზე. მოსკოველები არ თამაშობდნენ მთელი შესაძლებლობით და მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ზოგიერთ კოლექტივთან თამაშის პირველ ნახევარს მოსკოველები იგებდნენ ქულების უმნიშვნელო უპირატესობით.

განსაკუთრებით სასიამოვნოდ მიგვაჩნია რიგის ახალგაზრდა გუნდის წარმატება. მან მეორე ადგილი დაიკავა. კოლექტივში თამაშობენ 18-19 წლის ქალიშვილები, მათ შორის ყველაზე უფროსი დაბადებულია 1926 წელს. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გუნდში მოთამაშეთა უმრავლესობა მაღალი ტანისაა. კოლექტივმა მთელი შეჯიბრება ჩაატარა ზონალური დაცვით. გუნდმა მოკლე დროში დიდი წარმატებები მოიპოვა. აქ თვალში გვეცემათ დ. უსტუპე, რომელსაც შეუძლია შესანიშნავი ნახტომების გაკეთება და ფლობს თამაშის მაღალ ტექნიკას.

თბილისის გუნდი მეექვსე ადგილზე გამოვიდა. ეს შედეგი სავსებით შეეფარდება კოლექტივის ძალთა შესაძლებლობას ამ მატჩში. არ შეიძლება არ აღინიშნოს მოთამაშეთა გამოუცდელობა და ნაკლები ამტანობა, აგრეთვე არასაკმაო სიმაღლე და სუსტი ფიზიკური მონაცემები.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქალთა გუნდის ამ მატჩში მიღწეული შედეგიდან საჭიროა გარკვეული დასკვნების გაკეთება, რათა მომავალ წელს 8 ქალაქის მატჩში იგი უკანასკნელ ადგილზე არ აღმოჩნდეს. რიგელ და ლენინგრადელ ქალთა კოლექტივების ბრწყინვალე წარმატებები სრულიად ახალგაზრდა მოთამაშეთა ხარჯზე ცხადყოფს, რომ ჩვენ სწორად ვერ წარვმართავთ ქალთა შორის მუშაობას. თბილისში ქალთა გუნდების დაკომპლექტება ძირითადად უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთაგან ხდება, ე. ი. ქალიშვილები იწყებენ თამაშს 19-20 წლის ასაკიდან. რა მომავალი უნდა ჰქონდეთ ასეთ მოთამაშეთ? იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ კონტინგენტისაგან არ შეიძლება გამოვიდნენ კალათბურთის ოსტატები. აუცილებელია, რომ თამაშს იწყებდნენ 14-15 წლის ასაკის გოგონები და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ისინი დახელოვნდნენ უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებში. მაგრამ რა მდგომარეობაა კალათბურთის ბავშვთა გუნდებში? ბავშვთა ცენტრალური სკოლა, სადაც კეთილსინდისიერად მუშაობენ მწვრთნელები გეგელაშვილი და ბაბახანიდი, საზამთრო ბაზის უქონლობის გამო მოზრდილთა გუნდებს საკმაო რაოდენობით არ აძლევს მოთამაშეებს, ხოლო წელიწადში 2-3 სპორტსმენი ვერ გადაწყვეტს კალათბურთელ ქალთა მომზადების პრობლემას თბილისში.

ქალაქის ქალთა გუნდების მოთამაშეთა შორის გამოცდილებისა და ამტანობის დანერგვა შესაძლებელია ადგილობრივ შეჯიბრებათა რიცხვის გადიდებით, რადგანაც საბჭოთა კავშირის კალათბურთის ცენტრებიდან თბილისის ტერიტორიული სიშორე საშუალებას არ იძლევა ხშირ საქალაქთაშორისო შეხვედრების მოწყობისას.

* * *

სპორტის ოსტატის კეთილშობილური მოვალეობაა მოამზადოს თავისი ცვლა; ამაში უნდა მდგომარეობდეს მისი სიამაყე. თბილისის განათლების განყოფილება და ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი უნდა დაეხმარონ სპორტის ოსტატებს, რათა უკანასკნელმა თავიანთი ცოდნა ბავშვებს გადასცენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ სხვა კოლექტივთა საზიანოდ ერთი ძლიერი გუნდის მომზადებისაკენ კურსის აღება არამც თუ წასწევს წინ ჩვენში კალათბურთელ ქალთა მომზადების საქმეს, არამედ დიდად შეაფერხებს მის განვითარებას და დაუკარგავს მას სპორტულ ინტერესს.

# ჭადრაკი

# საქართველოს XI ჩემპიონატი

### მეთერთმეტე ტური

დაიწყო ჩემპიონატის მეორე გადამწყვეტი ნახევარი. ახლა თვითეულ ნახევარ ქულასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ტურნირის ლიდერებისათვის.

შიშოვმა ძლიერად ჩაატარა პარტია ფრუიძის წინააღმდეგ და გამარჯვებას მიაღწია.

ბლაღიძე-გიორგაძის პარტია ყაიმით დასრულდა.

საინტერესო იყო ტურნირის ლიდერის სოროკინის შეხვედრა ქარსელაძესთან. პარტია გადაიდო სოროკინისათვის უკეთეს მდგომარეობაში. გაგუა-ტიმოფეევის პარტია მეორმოცე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ძალზე მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა ალამალიანისა და არზუმანიანის პარტია. უკანასკნელმა დასაწყისშივე შესწირა ორი პაიკი და ფიგურათა აქტიური განლაგების შედეგად განავითარა იერიში. საკმარისი იყო ალამალიანის ერთი უყურადღებო სვლა და იგი მარცხს განიცდიდა. მაგრამ მხცოვანი მოჭადრაკე თამაშობს ძლიერად და დამსახურებულ გამარჯვებას აღწევს.

სუსტად თამაშობს ამ ჩემპიონატში ოსტატობის კანდიდატი მალაშხია, რომელმაც ამჯერად წააგო ოსტატობის კანდიდატ გერშკოვიჩთან.

ბუსლაევმა კარგად გამოიყენა დებიუტით მიღებული პოზიციური უპირატესობა არნშტეინის წინააღმდეგ და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### მეთორმეტე ტური

ამ ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა ინწკირველ-ფრუიძის პარტია, მათ 20-25 სვლაში გაცვალეს ყველა ფიგურა და ყაიმზე შეთანხმდნენ.

მწვავე და დაძაბული ბრძოლის შემდეგ 52-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა კირკიტაძე-გერშკოვიჩის პარტია.

სპორტულ ფორმაში ვერ არის ოსტატობის კანდიდატი მალაშხია, რომლის წინააღმდეგ თამაშობდა ახალგაზრდა მოჭადრაკე არნშტეინი. შუა თამაშში მალაშხია ფიგურას კარგავს სამი პაიკის ფასად. მატერიალურად ძალები თანაბარია, მაგრამ არნშტეინი მოფიქრებულად თამაშობს, იგებს სამ პაიკს და აღწევს გამარჯვებას.

ოსტატობის კანდიდატი გიორგაძე დაამარცხა ტიმოფეევმა.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ტურნირის ლიდერის სოროკინისა და შიშოვის პარტია. მოწინააღმდეგენი ფრთხილად თამაშობდნენ, მდგომარეობის გართულებას და ბრძოლის გამწვავებას ერიდებოდნენ. პარტია გადაიდო დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში.

ბლაღიძე-ალამალიანის პარტია, პირველის ავადმყოფობის გამო, არ შედგარა.

დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა და გადაიდო.

### მეცამეტე ტური

მეცამეტე ტურით დაიწყო ტურნირის გადამწყვეტი ფაზა — ფინიში. ლიდერებზე სასტიკი იერიშები მოაქვთ მათ მოწინააღმდეგეებს. 2 აპრილს სამივე ლიდერის პარტია დაუმთავრებელი დარჩა. შიშოვს არზუმანიანთან გადადებულ პარტიაში ორი ზედმეტი პაიკი აქვს. ზედმეტი პაიკი აქვს აგრეთვე ბლაღიძეს ქარსელაძის წინააღმდეგ, მაგრამ არსებულ მდგომარეობაში პარტიის მოგება საეჭვოა. სოროკინს ინწკირველთან რამდენადმე უარესი პოზიცია და ნაკლები პაიკი აქვს.

გაგუამ მოუგო მორჩილაძეს, ბუსლაევმა — მალაშხიას, ალამალიანმა — ტიმოფეევს. გერშკოვიჩ-ფრუიძის პარტია არ გათამაშებულა.

### გადადებული პარტიების დამთავრება

3 აპრილს შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. სოროკინმა ქარსელაძის წინააღმდეგ ვერ გამოიყენა მოგების ყველა შესაძლებლობა და პარტია ყაიმით დასრულდა. სამაგიეროდ შიშოვმა სწორად ვერ აწარმოვა თავდაცვა სოროკინის წინააღმდეგ და დამარცხდა.

ბლაღიძემ ენერგიული თამაშით ადვილად დაამარცხა ალამალიანი.

ფრუიძემ წააგო გერშკოვიჩთან, არზუმანიანმა — შიშოვთან, მორჩილაძემ — კრიხელთან და ბუსლაევთან, ინწკირველმა — კირკიტაძესთან.

### მეთოთხმეტე ტური

მეთოთხმეტე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ოსტატობის კანდიდატები ბლაღიძე და შიშოვი. დაძაბული ბრძოლა ბლაღიძის გამარჯვებით დამთავრდა.

ამ ტურში ჩინებულად ითამაშა ახალგაზრდა მოჭადრაკე გაგუამ, რომელმაც დაამარცხა გიორგაძე.

ალამალიანმა მოუგო კრიხელს, ფრუიძე-არნშტეინის და კირკიტაძე-ბუსლაევის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ოთხი პარტია გადაიდო.

* * *

### ლიდერები ფინიშთან
#### მეგობრული შარჟი



ნახატი მ. ვადბოლსკისა



სურათზე: თბილისის „დინამოს“ ოსტატთა და დუბლშემადგენლობის გუნდების ამხანაგური შეხვედრის ერთი მომენტი. დუბლიორთა მეკარე კიტია უშვებს მეორე ბურთს.
ფოტო ვლ. რუსეცკისა

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში
### ჰოკეი

ჰოკეისტთა გუნდმა „მატეუს პოიკარიამ“ (შვეცია) ამას წინათ მოაწყო ნა ტურნე. ჩეხოსლოვაკიის ყინულოვან მოედანზე შვედებმა წააგეს „ბრატისლავასთან“ ანგარიშით 1:2, ბრნოსთან — 1:3 და მოუგეს ოსტრავას — 4:3. უკანასკნელი მატჩი პრაღაში დამთავრდა შვედების სასტიკი დამარცხებით — 0:9.

* * *

დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. ლტც-ს გუნდი, რომელიც 20 წლის განმავლობაში უცვლელ ინარჩუნებდა ჩემპიონის სახელს, ჯერად იძულებული გახდა დაეთ არმიელთა გუნდის ატკ-ისათვის. მე რე ადგილი დაიკავა ქ. ვიტკოვი რკინიგზელთა გუნდმა, ხოლო ლ დარჩა მესამე ადგილზე.

* * *

დამთავრდა უნგრეთის პირველობ გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. ჩემ ონის წოდება მოიპოვა „მოლერი“ რომელმაც დაუმარცხებლად ჩაატა ტურნირი.

## საბჭოთა კავშირი—პოლონეთი
### ამხანაგური მატჩი ჩოგბურთში

მოსკოვში იმყოფება პოლონეთის უძლიერეს ჩოგბურთელთა გუნდი. ამ დღეებში „დინამოს“ დახურულ კორტებზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის და პოლონეთის ჩოგბურთელთა ამხანაგური მატჩი.

დაძაბულ ბრძოლებში ე. ნეგრებეცკიმ (სსრ. კავშირი) დაამარცხა ი. პიონტეკი. ე. კორბუტმა (სსრ კავშირი) მოუგო ი. ხიტროვსკის (პოლონეთი).

საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა ნ. ოზეროვმა საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეხვედრა მოუგო ვ. სკონეცკის.

წყვილთა შეხვედრებში კორბუტმა და ნეგრებეცკიმ დაამარცხეს ხიტროვსკი და გ. სკონეცკი, ხოლო ოზეროვმა და ანდრეევმა — ვ. სკონეცკი და პიონტეკი.

## სპორტული ქრონიკა

⊙ კიევში დამთავრდა საბჭოთა კავშირის მეთორმეტე პირველობა შაშ ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპო მოსკოველმა ოსტატმა ი. კუპერმან მან მოიგო 8 პარტია, 9 დაამთავ ფრედ და 12½ ქულა დააგროვა.

მეორე ადგილი დაიკავა კიეველ სტუდენტმა ვ. კაპლანმა — (10½ ქუ ლა), მესამე — გასული წლის ჩემპ ონმა მ. კოგანმა (10 ქულა).

⊙ კიროვაბადში დამთავრდა აზერ ბაიჯანის კოლმეურნეთა რესპუბლი კური ტურნირი ჭადრაკში. პირველ ადგილი დაიკავა სტეპანაკერტის რა იონის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვ რების“ წევრმა ე. ვერდიევმა.

⊙ სოჭში მიმდინარეობს ფეხბურ თის მსაჯთა საკავშირო სასწავლო საწვრთნელი შეკრება, რომელშიც მო ნაწილეობს 50 კაცი.

## ნადირთა შემმუსვრელი

წარმტაცი ეპიზოდებით და უცნაური მოულოდნელობით აღსავსეა მონადირის ცხოვრება. აი, ტანმორჩილი იარაღასხმული კოლმეურნე თუშური ქუდით, ზვერავს ახმეტის ტყეებს და სტკბება ბუნების სილამაზით. სამუშაოდან ყოველ თავისუფალ საღამოს იგი ატარებს კავკასიონის მისასვლელებთან, ალაზნის ქალებში. ნადირთა ბუნაგის დაუპატიჟებელი სტუმარიც ყოფილა.

ხელხვავიანი მონადირეა სოფელ ჯოყოლოს (ახმეტის რაიონი) სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი მურთაზ ბორჩაშვილი.

— ნადირთა შემმუსვრელი! ტყუილად კი არ უწოდებენ მას ასე თანასოფლელები.

არც ისე დიდი დრო გავიდა, რაც კალენდარზე 1950 წელი აღინიშნა და მურთაზმაც უკვე მერვე მსხვერპლი დააგდო თავისი სახლის აივნის წინ.

ორი გაუმაძღარი მგელი, სამი ეშმაკი მელია და 2 ტურა მცირე „სანადირო ულუფა“ როდია იანვრის შემდეგ!

რაიონის მონადირეთა კავშირმაც ამ დღეებში ფულადი ჯილდოთი აღნიშნა ჯოყოლოელი კოლმეურნის გარჯა და დამსახურება ნადირთა შემუსვრის საქმეში.

წლევანდელი მერვე ნანადირევი ბორჩაშვილმა ახმეტაში 2 აპრილს ჩამოატარა. ყველას ყურადღება მიიპყრო ოსტატურად ოთხში ამოღებული ტყავის სილამაზემ. მეტრნახევარი სიგრძის ტყავის თეთრმოყვითალო ფონზე თაფლისფერი მსხვილი მრგვალი ლაქები ემჩნეოდა. ყურებზე მუქი-შავი ზოლი გასდევდა და თათებზე მკვეთრად მოკაუჭებული ბასრი ბრჭყალები ესხა.

მხეცი თავისი სილამაზით ვეფხვს მოგვაგონებდა, მაგრამ მასზე გაცილებით პატარა ზომისა იყო.

მკვიდრმა მოხუცებმა ჯერ კიდევ შეუმჩნეველ ტყავში მაშინვე გამოიცნეს დაუნდობელი აფთარი და გზაზე მიმავალი მონადირე შეაჩერეს. ცნობისმოყვარეებმა გამოჰკითხეს მხეცის მოკვლის ისტორია, რომელიც ისევე საინტერესო აღმოჩნდა, როგორც თვით ნადირის ჯოყოლოს ტყეებში გამოჩენის ამბავი.

აფთართან შერკინების ეპიზოდი გაგვაცნო კოლმეურნემ.

ტყისპირად, ამ ერთი კვირის წინათ, ნაწვიმარზე მურთაზმა უცნობი მხეცის კვალი ნახა. მკვრივ ტალახზე კარგად მოჩანდა თათის ანაბეჭდი და მოკაუჭებული ბრჭყალები.

მისი დასკვნით, ეს არც მგელი იყო და არც დათვი.

მაშ, რა უნდა იყოს?

დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნადირი სადღაც „დიდიქვის“ მიდამოებში დაძრწოდა და, ალბათ, აქედან უთვალთვალებდა ტყის პირად საძოვრებზე გაშლილ პირუტყვს.

გამოურკვეველი მტაცებლის დასაჭერად მან აირჩია ნაცადი ხაფანგი, რომელიც თვითვე აქვს გაკეთებული და იშვიათად თუ უმტყუნებს. ნადირის მოსატყუებლად ხორცისათვისაც შორს არ წასულა მურთაზი. ორი დღის წინათ მოკლული ტურის ხორცის ნაჭერი საღამო ხანს მავთულზე წამოაგო და სახლში წავიდა. განთიადზე მიაკითხა „დიდ ქვას“.

შინაური პირუტყვის მტერი უკვე წინა თათებით გაბმულიყო და უკანა თათებით მტვერის კორიანტელი დაეყენებია. ამაოდ ცდილობდა აფთარი თავი დაეღწია ძველი მონადირის მიერ დაგებული ხაფანგისაგან.

ბორჩაშვილს უნდოდა ცოცხლად წამოეყვანა მხეცი, რომ ზოოპარკის ფაუნა ახალი ორიგინალური ეგზემპლარით გაემდიდრებინა, მაგრამ ვერ მოახერხა ღონიერი და ცბიერი ნადირის გათოკვა. მაშინ თავში კეტი ჩასცხო და სული გააფრთხობინა.

მოჰკლა კი? თავისი თვალით ხედავს, რომ მხეცის ლეში უმოძრაოდ გდია. დასწვდა წამოსაღებად. მაშინ აფთარმა მოიქნია უკანა თათები და ბასრი ბრჭყალებით მარჯვენა ხელის გული ორ ადგილას გაუკაწრა.

ეს იყო აფთარის უკანასკნელი გაბრძოლება. მისი ტყავი მეორე დღეს მურთაზს მკლავზე გადაეკიდადა მონადირეთა კავშირის რაიგანყოფილებისაკენ მიჰქონდა.

ნადირთა შემმუსვრელი სიამოვნებით გვიყვებოდა, თუ როგორ გატაცებით მისდევს სამონადირო სპორტს 10 წლის განმავლობაში და როგორ მოულო ბოლო ასეულ მტაცებელს მოდუდუნე ალაზნის ვერხვებიან ქალებში, დათოვლილი კავკასიონის კალთებსა და ჯოყოლოს შრიალა ტყის მიდამოებში...

**ი. ივანიშვილი**

ახმეტა.

**პასუხისმგებელი რედაქტორი მ. კაკაბაძე**

ი. ბ. სტალინის სახელობის ცენტრალური ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების თბილისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი

**აცხადებს სტუდენტების მიღებას 1950-51 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ სექტორებზე.**

დაუსწრებელი განყოფილება ამზადებს სასწავლო დაწესებულებებისა და სპორტული ორგანიზაციებისათვის ფართო პროფილის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს. სწავლების ვადა — 5 წელი (წარმოებიდან მოუწყვეტლივ). განცხადების მიღება 1 აპრილიდან 20 ივნისამდე.

განყოფილებაზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, წლოვანების განუსაზღვრელად, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება და არიან ჯანმრთელნი.

დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლები, რომლებიც დამაკმაყოფილებლად სწავლიან დაუსწრებელ განყოფილებაზე, თავისუფლდებიან სწავლის ქირის გადასახადისაგან და დაუსწრებელი განყოფილების მიერ მათ უნაზღაურდებათ სესიებზე ჩამოსვლისა და დაბრუნების გზის ხარჯები.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება, 2. ავტობიოგრაფია, 3. საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა (დედანი), 4. დახასიათება სამუშაო ადგილიდან, 5. საექიმო კომისიის დასკვნა, 6. სამი ფოტოსურათი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 20 ივნისიდან 1 ივლისამდე რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ფიზიკაში, ქიმიაში და ფიზიკურ მომზადებაში, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

თბილისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთ უზრუნველჰყოფს მიღების წესებითა და მისაღები გამოცდების პროგრამებით.

თბილისის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტის მისამართი: ქ. თბილისი, 300 არაგველთა აღმართი № 2 (საქ. სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობა) ტელ. № 3-81-01.

გაზეთი გამოდის პარასკეობით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000 უე 02726